მსოფლიო თეატრის დღის გზავნილი - აზია, წყნარი ოკეანე

რამ გოპალ ბაიაი (Ram Gopal Bajaj), ინდოეთი
თეატრის რეჟისორი, თეატრისა და კინოს მსახიობი, მკვლევარი, დელის დრამის ნაციონალური სკოლის ყოფილი დირექტორი

ევოლუციის ისტორიიდან ჩვენ ერთი რამ ვიცით მოკლედ, რომ სიცოცხლის ყველა ფორმა მუდმივად მიდრეკილია გადარჩენისკენ. თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრება მუდამ მიილტვის იმისკენ, რომ გაცდეს დროსა და სივრცეს და გახდეს უკვდავი. ამ პროცესში, ცხოვრების ფორმა, ასევე ასახიჩრებს და ანგრევს საკუთარ თავს, საყოველთაოდ. ჩვენ როგორმე უნდა შევზღუდოთ ფიქრი კაცობრიობის გადარჩენაზე და მის გათავისუფლებაზე ქვის ხანის გამოქვაბულის ადამიანიდან, ჩვენს კოსმოსურ დრომდე. ვართ კი ჩვენ უფრო ყურადღებიანები დღეს? მგრძნობიარენი? მხიარულნი? და უფრო მოსიყვარულე ბუნების მიმართ, რომლის ნაყოფიც ვართ სინამდვილეში?
ჩვენი საწყისებიდან დღემდე, ცოცხალმა საშემსრულებლო ხელოვნებამ /ცეკვა, მუსიკა, თეატრი/ ასევე განავითარა თანხმოვნებითა და ხმოვნებით შედგენილი ლინგვისტური ინსტრუმენტი. ხმოვანი ბგერა, ძირითადად გამოხატავს გრძნობებსა და ემოციებს, ხოლო თანხმოვანი ბგერა ქმნის კომუნიკაციის ფორმას და წარმოშობს აზრს/ცოდნას. მათემატიკა, გეომეტრია, სამხედრო შეიარაღება და უკვე კომპიუტერი ამის შედეგია. ასე რომ, ახლა ჩვენ აღარ შეგვიძლია ლინგვისტური ევოლუციიდან უკან დაბრუნება. თავად დედამიწაც ვერ გადარჩება, თუ ცოცხალი თეატრალური ხელოვნებისა და ცოდნის /ტექნიკის ჩათვლით/ კოლექტიური სიხარული არ იქნება თავისუფალი, ხელახლა აღზევებული მიწიერებიდან, მძვინვარებიდან, გაუმაძღრობიდან და ბოროტებიდან.
მას მედიამ, ჩვენმა მეცნიერებამ და ტექნიკამ გაგვხადა დემონურად ძლიერები. ამგვარად, დღეს თეატრის ფორმა კი არ არის კრიზისში, შინაარსის კრიზისია,

გზავნილებისა და დამოკიდებულების. ჩვენ უნდა მივმართოთ დღევანდელ დღეს მცხოვრებ ადამიანს დედამიწაზე, იმისთვის რომ გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა - დედამიწა და შესაბამისად „თეატრი“. პრაგმატულ დონეზე, მსახიობის ხელოვნება და საშემსრულებლო ხელოვნება უნდა გავხადოთ ხელმისაწვდომი ბავშვებისთვის, განათლების საწყის ეტაპზე. ასეთი თაობა, მჯერა, იქნება უფრო მგრძნობიარე და სამართლიანი ცხოვრებისა და ბუნების მიმართ. ამგვარად ლინგვისტიკის /ენის/ უპირატესობა, შესაძლებელია აღმოჩნდეს ნაკლებად მავნე მშობლიური დედამიწისა და სხვა პლანეტებისთვის. უფრო მეტიც, „თეატრი“ გახდება უფრო მნიშვნელოვანი თავად სიცოცხლის არსებობისთვის. თეატრმა უნდა აღჭურვოს ცოცხალი შემსრულებელი და მაყურებელი უფლებით, ერთმანეთის მუქარის გარეშე, ამ კოსმიური ერთიანობის ეპოქაში.

მე მივესალმები თეატრს და მივმართავ მსოფლიოს, რომ ხელი შეუწყოს მას ჩანასახშივე, სოფლად თუ ქალაქად, ყველგან. „სხეული /კიდურები/, ენა და თანაგრძნობა ერთიანობაში თაობების განათლებისთვის“.

Translation Ana Kvinikadze

Biography/ რამ გოპალ ბაიაი (Ram Gopal Bajaj), ინდოეთი

რამ გოპალ ბაიაი დაიბადა 1940 წელს, ინდოეთში (Darbhanga). არის მრავალი ჯილდოს მფლობელი, აღიარებული თეატრის რეჟისორი, თეატრისა და კინოს მსახიობი, მწერალი და თეატრის განმანათლებელი/მკვლევარი.

ბიჰარის უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ (1960), იგი აბარებს დრამის ნაციონალურ სკოლაში, 1965 წელს, სადაც ეუფლება სამსახიობო ხელოვნებას. ეს დაწესებულება, შემდგომში მის სინონიმად იქცევა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ხდება ფაკულტეტის წევრი და დრამის ნაციონალურ სკოლაში ავითარებს თავის თეორიებს თეატრის განათლების სფეროში. იგი ამ უნივერსიტეტის დირექტორადაც მუშაობდა, ისევე როგორც მოწვეულ ლექტორად.

მას შემდეგ, რაც მან მიიღო საბაზისო განათლება თეატრის სფეროში, იგი გახდა ერთ-ერთი დამფუძნებელი ჯგუფისა - „Dishantar“, რომელიც აერთიანებდა თეატრში მომუშავე პროფესიონალ ადამიანებს; ეს იყო პლატფორმა, რომელიც მის სამსახიობო კარიერას აყვავების შესაძლებლობას აძლევდა.

მისი ადრეული სპექტაკლები, როგორც ინდური, ასევე საერთაშორისო დრამები, იყო ფართოდ აღიარებული. მას შემდეგ, რაც მან გარღვევა მოახდინა ადრეული შემოქმედებით, ითამაშა 36 სპექტაკლში და თავად დადგა 45. სწორედ ამიტომ, მას ნაციონალური ჯილდო მოგებული აქვს არა მხოლოდ როგორც მსახიობს, არმედ როგორც თეატრის რეჟისორსაც. მან თარგმნა და გადააკეთა 19 პიესა ჰინდის ენაზე სხვადასხვა ენებიდან უნიკალური პოეტური სტილით.

2003 წელს ინდოეთის პრეზიდენტმა მას გადასცა ჯილდო იმ განუსაზღვრელი შრომისთვის, რაც მან გასწია თეატრისთვის. მას მიღებული აქვს ჰინდის აკადემიის ჯილდო ლიტერატურასა და ჰინდის ენაში შეტანილი წვლილისთვის. იგი დღესაც აქტიურია როგორც მსახიობი, რეჟისორი და მწერალი, როგორც თეატრში, ასევე კინოში.